ფოთში კუნძულის სანაპირო ზოლის გამაგრებითი სამუშაოები იწყება

გვ. 2

ფოთში, ახალი რაიონის დასახლებაში, საბავშვო ბაღის მშენებლობა იწყება

გვ. 2

მთავარი თემა საქართველოში

ფასი 50 თეთრი №18 22 - 29 მაისი 2017 წელი გამოდის სამშაბათობით

რა შედეგი გამოიღო ა(ა)იპების გაერთიანებამ და რა კონკრეტული საფუძველი ედო ამ სამსახურების დაშლა-აწყობას

გვ. 3

სად გაქრა დანელიას ბიუსტი? გვ. 3

ფოთში ტუბერკულოზის ექსდიარის ფორმა გავრცელდა

გვ. 4

ყოფილი უშიშროების შენობა შესაძლებელია დანგრევას გადაურჩეს გვ. 5

ფოთი საერთაშორისო ფოლკლორის საბავშვო ფესტივალ ,,კავკასია 2017,,-ს უმასპინძლებს

გვ. 2

ვის ინტერესებს შეეწირა სანიჩბოსნო სკოლის დირექტორი ფრიდონ ბირკაია?

პოლიტიკური დევნა თუ მხოლოდ მიზეზი

ფოთის სანიჩბოსნო სკოლის ყოფილი დირექტორი ფრიდონ ბირკაია

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ფოთში პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან დათხოვნები გრძელდება. ამჯერად ადგილობრივ ხელისუფლებას პოლიტიკურ დევნაში სანიჩბოსნო სკოლის უკვე ყოფილი დირექტორი ფრიდონ ბირკაია ადანაშაულებს. ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე თვეში ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში ქალაქის მერმა ირაკლი კაკულიამ აღნიშნა - „ქალაქში ვერავინ იტყვის, რომ პარტიული ნიშნით ვინმეს დევნა გამოვუცხადე, ან დაპირისპირებაში ვარ ოპოზიციასთან". როგორც ბოლო დროს განვითარებული ფაქტები „ირწმუნებიან", ქალაქის პირველი პირის დანაპირები სიმართლეს არ შეესაბამება. ყოველ შემთხვევაში ამას ამბობენ ის ადამიანები, რომლებიც ოპოზიციურ პარტიებს უჭერენ მხარს და სამსახურიდან, მათი აზრით, უმიზეზოდ დაითხოვეს.

სამაგიეროდ, პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებას კატეგორიულად გამორიცხავს სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი ხვიჩა ცხვიტარია: „ყველა მენეჯერი გამოსაცდელი ვადით მყავდა დანიშნული, ბირკაიამ ვერ გაიარა ეს ვადა". არადა ბირკაია წლებია, აღნიშნულ სკოლას ხელმძღვანე-

დასასრული 4-გვ.

მანანა ლომაძე: ,,ბედნიერი ვარ, როცა პაციენტი კარგად ხდება,,

გვ. 6

საქართველოს საგაზაფხულო პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში გვ. 7

რეგიონალური პირველობების წილისყრა გვ. 7

ფოთელი ხელბურთელები - ვერცხლის პრიზიორები

გვ. 7

რეგიონალური პირველობა გეზრბენში

გვ. 7

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია -
599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი
ივეტა პაჭკორია -
597 97 76 18

კორექტორი:
მაია ჩხეიძე
551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია -
579 24 11 22

ქეთი ჩებანი
(ფოთი)
598 40 10 23

ივეტა პაჭკორია
(ხობი)
568 61 04 41
გამოქვეყნებული

მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.
გამოქვეყნებული

მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ფოთი საერთაშორისო ფოლკლორის საბავშვო ფესტივალ ,,კავკასია 2017,,-ს უმასპინძლებს

ფოთი საერთაშორისო ფოლკლორის საბავშვო და ახალგაზრდული ფესტივალი „კავკასია 2017“ -ის ერთ-ერთი მასპინძელია. აღნიშნულ ფესტივალში საქართველოს სხვადასხვა ქორეოგრაფიულ ანსამბლთან ერთად ლატვიის, უკრაინის, აზერბაიჯანის, თურქეთის,ისრაელის,რუსეთისა და სომხეთის ანსამბლები იღებენ მონაწილეობას. ფესტივალი 2 ივლისს ქალაქ ფოთში საზეიმოდ გაიხსნება

.აღნიშნულ ფესტივალთან დაკავშირებით, ფოთის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი ლევან ჩოჩია და მერის მოადგილე ნიკოლოზ გრიგოლია საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს კახაბერ მარკოიშვილს, პასუხისმგებელ მდივანს -მურმან გამისონიას და ქორეოგრაფთა კავშირის ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარეს გიგლა თურქიას შეხვდნენ და საორგანიზაციო საკითხები განიხილეს.

„ მოხარული ვარ, რომ ჩვენი ქალაქი კიდევ ერთ საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობს. მინდა მადლობა გადავუხადო ფესტივალის ორგანიზატორებს, ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარეს, ბატონ რეზო ჭანიშვილს და ფესტივალის ყველა მონაწილეს“- განაცხადა შეხვედრისას ქალაქის ვიცე- მერმა ლევან ჩოჩიამ.

საერთაშორისო ფოლკლორის საბავშვო და ახალგაზრდული ფესტივალი ‘’კავკასია 2017’’ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის და საქართველოს პროფესიულ-კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედებითი კავშირის ორგანიზებით იმართება.

ქალაქში არ მოღვაწეობენ, ფინანსური მხარდაჭერითა და მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ჩართულობით, ფოთში, მალთაქვის უბანში, გამწვანების აქცია ჩატარდა. დაირგო 15 ძირი კიპარისის, 70 პავლოვნიისა და 130 უზბეკური თუთის ნერგი. მსგავსი ტიპის აქცია აღნიშნულმა ორგანიზაციამ გასულ წელსაც განახორციელა. გამწვანების აქცია სოციალურ გვერდზე დაანონსდა. შესაბამისად, აქციას მოხალისეებიც შეუერთდნენ.

აბაშაში მარტში 399 ბენეფიციარმა 72 794 ლარის დახმარება მიიღო

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სოციალური პროგრამებით მარტის თვეში 399 ბენეფიციარს დახმარება გაუწია - ამის შესახებ ინფორმაციას აბაშის გამგეობა ავრცელებს.

გამგეობის ინფორმაციით, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დახმარების პროგრამით66 ბენეფიციარზე 34344 ლარი დადიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამით (ყოველთვიური დახმარებით) 7 ბენეფიციერზე -1050 ლარი გაიცა.

დახმარება გაეწია მრავალშვილიან ოჯახებს და ომის ვეტერანებსაც. მრავალშვილიან 266 ოჯახზე (3 და მეტი შვილი 0-დან 18 წლის ასაკამდე) 26 600 ლარი, მე 3 და მეტი ახალშობილი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით, 4 ოჯახზე - 1200 ლარი;

34 ბენეფიციარზე 5100 ლარი გაიცა ომის მონაწილე ვეტერანების დახმარების პროგრამით, ხოლო ომის მონაწილე გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახების დახმარების პროგრამით - 2 ოჯახზე 500 ლარი და გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამით - 1 ოჯახზე 200 ლარი. დახმარებები გაიცა ასევე შშმ პირებზე და სამედიცინო პროგრამების შესაბამისად. მკვეთრად გამოხატული შშმ (I ჯგუფი) პირების დახმარების პროგრამით - 16 ბენეფიციარზე 3200 ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დახმარების პროგრამით - 3 ოჯახზე 600 ლარი დაიხარჯა.

მარტის თვეში გაწეული დახმარების ჯამურმა ოდენობამ 72 794 ლარი შეადგინა.

ერთი ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.5311 ლარი გახდა. ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. ხვალიდან, ერთი დოლარის ოფიციალური

ფასი 2.5311 ლარი გახდება. კურსი, რომელიც დღეს მოქმედებდა, 2.5078 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0233 ლარი შეადგინა.
ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა. კერძოდ, ხვალიდან ერთი ევროს შეძენა 2.6825 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა დღეს მოქმედი კურსი 2.6670 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0155 ლარი შეადგინა.

ფოთში კუნძულის სანაპირო ზოლის გამაგრებითი სამუშაოები იწყება

ფოთში კუნძულის სანაპირო ზოლზე განსახორციელებელ ნაპირსამაგრ სამუშაოებთან დაკავშირებით, ქალაქის მერიაში სამეგრელო -ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია,მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ხახუბია,ფოთის მერი ირაკლი კაკულია, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია და გუბერნატორის მოადგილე დავით კოდუა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების მენეჯერს რევაზ გიგილაშვილს შეხვდნენ და განიხილეს ყველა ის საკითხი , რაც ამ პროექტის განხორცილებისთვის არის საჭირო.

შეხვედრაზე აღინიშნა ,რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გარემოს დაცვის სამინისტროსა და გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან ერთად მუშაობის შედეგად შავი ზღვის სანაპიროზე მოიძია ის უბნები, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან ეროზიას და მათგან შეირჩა ფოთი.

შეხვედრა მოეწყო ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურში, დაათვალიერეს კუნძულის უბნის სანაპირო ზოლი და ადგილზე გაეცნენ ტექნიკურ საკითხებს (ზღვის სიღრმე, სიგანე). შეირჩა ადგილები,სადაც სამუშაოების დაწყებამდე უნდა განთავსდეს ტალღმტეხი ნაგებობები (ტეტრაპოდები), რომლითაც ზღვის სანაპიროს გამაგრება მოხდება.

პროექტის მიხედვით, კუნძულის უბანში, 2 კმ-მდე სიგრძის სანაპირო ზოლზე ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდება , სადაც 8000 ცალი ტეტრაპოდი განთავსდება.

ფოთში, ახალი რაიონის დასახლებაში, საბავშვო ბაღის მშენებლობა იწყება

ამ თემასთან დაკავშირებით ქალაქის მერიაში შეხვედრა მოეწყო. ფოთის მერი ირაკლი კაკულია სამხრეთ კავკასიაში ლტოლვილთა დანიის საბჭოს წარმომადგენლობის დირექტორს - ვინსენტ დონტოს შეხვდა და საბავშვო ბაღის მშენებლობისა დაწყებისა და მასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები განიხილა.

ახალი სკოლამდელი-საადმზრდელო დაწესებულების მშენებლობისთვის შეირჩა ტერიტორია და სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება.

ბაღის მშენებლობისთვის 210 000 ევროა გამოყოფილი. შენობა თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით აღიჭურვება, მოეწყობა ეზო . ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დანიის ლტოლვილთა საბჭოს მხარდაჭერით ხორციელდება.

ახალ რაიონში ბაგა-ბაღის მშენებლობა მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით გადაწყდა.

რა შედეგი გამოიღო ა(ა)იპების გაერთიანებამ და რა კონკრეტული საფუძველი ედო ამ სამსახურების დაშლა-აწყობას

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჩატარებულმა სამსახურების რეორგანიზაცია-აქტივიზაციამ რამდენიმე ადამიანის თანამდებობა შეიწირა და სამსახურის გარეშე დატოვა. ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 8 დეკემბრის განკარგულებით შეიქმნა ორი სამსახური – ერთი სახელოვნებო ცენტრი, რომელშიც გაერთიანდა ხუთი სუბიექტი; ოტია ჯაიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი, სახელოვნებო სასწავლო ცენტრი, საგამოფენო დარბაზი და ფოლკლორის ცენტრი და მეორე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება, რომელშიც 11 სასპორტო ა(ა)იპი გაერთიანდა. სამსახურების რეორგანიზაცია, გაერთიანება და შემდეგ დაშლა არაერთხელ მომხდარა ფოთის რეალობაში. რეორგანიზაციის ავტორების თქმით, გაერთიანების მიზეზი, როგორც ადრე, ახლაც გაბერილი შტატებია. თუმცა, ბოლო გაერთიანებებმა გვაჩვენა, რომ შტატები უმნიშვნელოდ შემცირდა, ხოლო იმ სამსახურების უფროსებს, რომლებიც თანამშრომლების გათავისუფლებას არ დათანხმდენ, თანამშრომლებისათვის ხელფასის დაკლება მოუწიათ.

რეორგანიზაციის შედეგად სპორტული თუ სახელოვნებო სკოლის დირექტორებს, რომლებიც ახლა მენეჯერის სტატუსს ატარებენ, მიეცათ 3 თვიანი გამოსაცდელი ვადა. 3 თვის თავზე ეს ვადა მხოლოდ ნიჩბოსნობის სკოლის დირექტორის ფრიდონ ბირკაიასათვის ამოიწურა. ოფიციალურად მას დარდვევები აღმოუჩინეს, ხოლო როგორც ამბობენ, ბირკაიას თანამდებობა ნაციონალური მოძრაობის მიმართ სიმპათიას შეეწირა.

ბირკაიას გარდა შემცირება შეეხო სპორტული ა(ა)იპების 17 თანამშრომელს. შემცირდა ბუღალტრების რაოდენობა და ის ერთი საერთო ბუღალტრით განისაზღვრა. ასევე, შემცირდა საქმის მწარმოებლების თანამდებობები და გაუქმნდა მოადგილეების შტატები. სასპორტო საგანმანათლებო დაწესებულებათა გაერთიანების უფროს ხვიჩა ცხვიტარიას განმარტებით, დღეისათვის სასპორტო გაერთიანებაში 147 თანამშრომელია, მათ შორის 13 კადრი ახლად შექმნილი გაერთიანების ადმინისტრაციის თანამშრომელია. რაც შეეხება ხელფასებს, ცხვიტარიასავე განმარტებით, არ შეცვლილა. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ გაშუქდა სპორტული სკოლების გაერთიანების შესახებ, რომელსაც სკოლების დირექტორები ეჭვის თვალით უყურებდნენ და არ ეთანხმებოდნენ ამ გაერთიანების იდეას. ცხვიტარიას განმარტებით კი: „არც ერთი სკოლის ყოფილი დირექტორი განაწყენებული არ არის, ვინც 30 თვეზე მეტხანს მუშაობდა, ყველას გადავუხადეთ ერთი თვის კომპენსაცია. შეგვიმცირდა სამივლინებო და სხვა ხარჯები, წელს შარშანდელთან შედარებით 255 ლარითაა შემცირებული დაფინანსება, შარშან 930 000 ლარი იყო, წელს კი 675 000 ლარია. წელს ძალიან კარგი შედეგები აქვთ სპორტსმენებს და თუ არ დავეხმარეთ, მომავალ წელს გაგვიჭირდება. თუ ერთ სკოლას შარშან 10 მივლინება უწევდა, წელს მხოლოდ 5 დაფინანსდება. ჩემთვის პრიორიტეტულია საქართველოს ჩემპიონატი. ასევე პრესტიჟული საერთაშორისო ფესტივალები, სხვადასხვა შეჯიბრებებზე წასვლის სურვილის შემთხვევაში, შემიძლია მათ მხოლოდ მგზავრობა დავუფინანსო, დანარჩენს მშობლები აფინანსებენ. სხვანაირად არაფერი გამომივა".

სახელოვნებო ცენტრის დირექტორი ნინო პაჭკორია

ცხვიტარია უმნიშვნელოვანეს მოვლენად სასპორტო გაერთიანების ერთიან ინვენტარიზაციას მიიჩნევს. როგორც ამბობს, ეს საკითხი უნდა

დასასრული 5- გვ.

სად გაქრა დანელიას ბიუსტი?

ივეტა პაჭკორია
ფოთი

მეორე სამამულო ომის გმირის ამირან დანელიას ოჯახი მერიას გულგრილობაში ადანაშაულებს და გმირის ბიუსტის დაბრუნებას ითხოვს მისივე სახელობის ქუჩაზე. ამირან დანელია მეორე სამამულო ომის ერთადერთი გმირია, რომელიც მალთაყვის გმირთა მემორიალშია დაკრძალული. დანელიას ბიუსტი რამდენიმე წლის წინ ქუჩის რეაბილიტაციის დროს აიღეს რესტავრაციის მიზნით. როდესაც ოჯახის წევრებმა მოიკითხეს, ტენდერში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენლებმა, რომლებიც ქუჩის რეაბილიტაციას ახდენდნენ, განუმარტეს, რომ ბიუსტი სარესტავაციოდაა გაგზავნილი და სამუშაობის დამთავრების შემდეგ ძველ ადგილზე დააბრუნებდნენ. სამუშაოები უკვე კარგა ხანია დამთავრდა, მაგრამ ბიუსტი აღარ დაუდგამთ და ოჯახმა მას ვერსად მიაკვლია.

ოჯახის წევრებმა ქალაქის მერთანაც სცადეს შეხვედრა, მაგრამ ვერ მოახერხეს. ამირან დანელიას ქალიშვილი ნუნუ დანელია იმის დასამტკიცებლად, რომ მამამისი ნამდვილად გმირი იყო წიგნებს, გაზეთებსა და მოწმობებს გვაჩვენებს: „მერთან შეხვედრაზე მივედი, მიღება საკრებულოს სააქტო დარბაზში იყო. ჩემს გარდა ძალიან ბევრი ადამიანი იყო, მერის ნაცვლად სხვები დაგვხვდნენ, მე არ ვიცნობ მათ და არც ვიცი, ვინ იყვნენ. გვითხრეს, მერი არ არის, პრობლემები ჩვენ გვითხარით და მერს გადავცემთო. ერთ-ერთმა გმირის წიგნაკზე მკითხა, ეს რა წიგნაკიაო. არ ვიცი, გადასცეს თუ არა მერს ჩემი მისვლის მიზანი, მაგრამ არაფერი არ გაკეთებულა. სადღაც დაგდებული ექნებათ ბიუსტი და ვერ პოულობენ ალბათ. ისიც კი თქვეს, დანელიას ქუჩის დასაწყისში დავდგამთო. იქ ვის უნდა დაუდგან? ქალაქის ცენტრში იდგა და მოანგრიეს ყური ბიუსტს და იქ საერთოდ რას უზამენ. მამაჩემი 17 წლის იყო, ომში რომ წაიყვანეს. დღეს არავის უნდა რუსეთი და საბჭოთა კავშირი, მაგრამ მაშინ ვინ გეკითხებოდა, რა გინდოდა? ანდა, განა მარტო საბჭოთა კავშირი იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიო გახლდათ გაერთიანებული. მამაჩემი სადაც იყო, პირველი იყო, გმირი გახლდათ და იქ ასახელა თავისი ქვეყანა და ქალაქი." დანელიას მეორე ქალიშვილი, მარინა დანელიაც ადგილობრივ ხელისუფლებას გულგრილობაში ადანაშაულებს: „მართალია, მამა საბჭოთა კავშირის გმირი იყო და ეს სტატუსი დღეს მავანთათვის არაფერს ნიშნავს, ზოგიერთები იმასაც ამბობენ, რას იბრძოდნენ მერეო, მაგრამ ეს ხომ ჩვენი წარსულია. ის ადამიანები განა მარტო საბჭოთა კავშირისთვის იბრძოდნენ. ყველაფერს სწორი აღქმა და ცოდნა სჭირდება - ფაშიზმი მთელი მსოფლიოსათვის საშიშროებას წარმოადგენდა და მის წინააღმდეგ იბრძოდა სხვებთან ერთად ჩემი ვაჯკაცი და გმირი მამა.

მომავალ თაობებს კი ასეთი გმირების პატივისცემის ძალაც არ შესწევთ, რაც ძალიან სამწუხარია, წარსულის გარეშე არ არსებობს მომავალი და არ შეიძლება წარსულის წაშლა. ადგილობრივი ხელისუფლება კი როგორ შეიძლება თავისი მოქალაქეების მიმართ ასეთი გულგრილი იყოს?"

დანელიას ბიუსტი ცნობილმა მოქანდაკემ ოტია ჯაიანმა გააკეთა.

სად გაქრა ბიუსტი და რა ბედი ელის სამომავლოდ, ამის საკითხავად ქალაქის მერს ახლა ჩვენც მივაკითხეთ, ირაკლი კაკულია ამ საკითხით დაინტერესებას და გარკვევას დაგვპირდა და გვითხრა, რომ ამის შემდეგ გაგვცემდა პასუხს. იგივე საკითხით მერის მოადგილე ნიკა გრიგოლიასაც მივმართეთ და ისიც ამ საკითხით დაინტერესებას დაგვპირდა. რამდენი ხანი დაჭირდება მათთვის საკითხის გარკვევას, ჩვენთვის გაურკვეველია და შესაბამისად, უცნობია ბიუსტის ადგილმდებარეობა და მისი მომავალი ადგილი. მეორე მსოფლიო ომის გმირის ოჯახის წევრები კი კითხვაზე- სად არის ბიუსტი? პასუხის გაცემას ითხოვენ.

ვის ინტერესებს შეეწირა სანიჩბოსნო სკოლის დირექტორი ფრიდონ ბირკაია?

პოლიტიკური დევნა თუ მხოლოდ მიზეზი?

დასაწყისი პირველ გვერდზე

ლობს და მანამდეც რაიმე სახის პრეტენზიას ადგილი არ ქონია. ახლა კი ცხვიტარია ამბობს, რომ „იმ სკოლაში გარკვეულ დარღვევებს ქონდა ადგილი”. თავის მხრივ ბირკაიას უკვირს, რა დარღვევებზეა საუბარი: „სამ თვეში რა დარღვევა ნახეს, არ ვიცი. 6 პირველი და 6 მეორე ადგილი რომ მოვიტანე, ეს იყო ვითომ დარღვევა? ან 5 ბავშვი საქართველოს ნაკრებში რომ ყავს ამ სკოლას, იქნებ ესაა დარღვევა?“.

როგორც ფრიდონ ბირკაიასთან საუბრისას გაირკვა, დაპირისპირება მის მერე დაიწყო, როცა ნიჩბოსნობის ფედერაციამ ფოთში რამდენიმე დღის წინ ღონისძიება ჩაატარა: „ჩემი მოვალეობა იყო, მომემზადებინა ბავშვები. როგორც კი წერილი ჩამომივიდა, გავუგზავნე გაერთიანების უფროსს ცხვიტარიას ეს წერილი. პირველი წერილი დაიკარგა და მეორედ გადავუგზავნე, შეჯიბრების დღეს კი მკითხა, რატომ არ შემატყობინეო. ვუთხარი, ხომ გამოგიგზავნეთ მოწვევა, კალენდარი და მონაწილეთა სია- მეთქი. უნდა დაგერეკაო და ასე მე შენთან ვერ ვიმუშავებო. როგორც ჩანს ეს ჩამითვალეს დარღვევად. როდესაც წერილი მიიღეს, მათ უნდა დაერეკათ ფედერაციაში. მე რა შუაში ვიყავი ან რა ვიცოდი, ფედერაციას იქნებ სულ არ უნდოდა მერის დასწრება, ეს არ იყო ჩემი გადასაწყვეტი. დამსახურებული მუშაკი ვარ და სამთვიანი გამოსაცდელი ვადა მომცეს. რა მაქვს ამათი გამოსაცდელი? გაოცებული ვარ. მე უფრო პოლიტიკური საფუძველი დავინახე. როდესაც ქალაქის მერს შევხვდი, მითხრა, აბსურდული რამ, თურმე მე ვყოფილვარ ნაციონალური პარტიის წევრი. რაზეც ვუპასუხე, რომ არ ყოფილა კარგად ინფორმირებული. წამოვედი მერიიდან და გათავისუფლების ბრძანებაც უკან მომაყოლეს. არ ვიცი, როდის ვიყავი ნაციონალურ პარტიაში, არც არასდროს ვყოფილვარ, ისიც არ ვიცი, ასეთი მიდგომა რას ნიშნავს. მაშინ რა განსხვავებაა ამათსა და ნაციონალებს შორის, ისინიც ჩვენებად და სხვისებად ყოფდნენ ქართველებს”.

მიუხედავად გათავისუფლებისა ბირკაია ისევ აგრძელებს მწვრთნელად მუშაობას: „მე ხელფასი არ მაქვს და ისე ვავარჯიშებ ბავშვებს, ვერ მივატოვებ მათ შუა გზაში. წინ საერთაშორისო შეჯიბრებებია, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისათვის ემზადებიან, თუ არ ვავარჯიშე, ჩათვალეთ, ყველა სახლში წავა“.

ჩვენს გაზეთს აბაშიდან დაუკავშირდა სანიჩბოსნო სკოლის ყოფილი მწვრთნელი, გოჩა სიმონია და გვთხოვა მისი პოზიცია გაგვეჟღერებინა: „როგორც გავიგე ფრიდონ ბირკაია გაუთავისუფლებიათ დაკავებული თანამდებობიდან. ქალაქის მერს ირაკლი კაკულიას კი ფრიდონისთვის უთქვამს ნაციონალი ხარ, ზონდერი გყოლია სამსახურში, რომელიც იმიტომ დაინვალიდდა, რომ 2007 წლის 7 ნოემბრის აქციაზე გაგიშვიაო. როგორ შეიძლება ასეთი სიბინძურე თქვა ადამიანმა. არასოდეს არცერთ პარტიაში არ ვყოფილვარ. ვმუშაობდი ჩემთვის. მართალია, იმ დღეს თბილისში ვიყავით, მაგრამ იმ ეპიცენტრთან ახლოსაც არ ვყოფილვართ. ჩვენ ვიყავით დიღომში. ნაციონალურმა პარტიამ ერთი დიდი ავტობუსი წაგვიყვანეს მხიარული სტარტების საგულშემატკივროდ. არც ერთი ფოთელი არ წასულა აქციაზე. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ. სპორტდარბაზს არ გავცდენილვართ. არც არავის გავუშვივართ”.

რაც შეეხება ტრავმას, სიმონიას დიაგნოზია დურალური მალფორმაცია, მე-11, მე-12 მალის დონეზე სისხლძარღვების შევიწროვება. სიმონიას ფეხის ტკივილი 2007 წლის აგვისტოს თვეში დაეწყო და არასრული მკურნალობის გამო 2009 წლის შემოდგომაზე ეტლში აღმოჩნდა. მისთვის გაუგებარია, მის თბილისში წასვლას რა კავშირი აქვს ბირკაიასთან: „თითქოს ბირკაიამ გამიშვა დასარბევად მიტინგზე, ეს არის მტკნარი სიცრუე და ყურით მოთრეული ბრალდება რაღაც მიზეზის გამო. მაინტერესებს, ვინ მოიგონა ასეთი ტყუილი? ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ ჩავალ ფოთში, ამიტომ მოვუწოდებ ვინც ეს სიცრუე გაავრცელა, ბოდიში მოიხადოს”.

ბირკაიას გათავისუფლებასთან დაკავშირებით ჩვენთან მისმა კოლეგებმაც არაოფიციალურად ისაუბრეს, რომლებმაც არ ისურვეს მათი ვინაობის დასახელება. მათი თქმით რთულ დროში სწორედ ბირკაიამ შეინახა აღნიშნული სკოლა და მისი დამსახურებაა რომ სკოლა აქამდე ფუნქციონირებს გამართულად. კოლეგების მტკიცებით ბირკაიას ეს ყველაფერი მოუწყვეს და დიდი ხანია მისი მოხსნა სურდათ. „როგორც ამ ყველაფრიდან ჩანს დაპირისპირება არა აღნიშნული ღონისძიებიდან იწყება, არამედ უფრო შორი წარსულიდან. ღონისძიება მხოლოდ მიზეზი იყო, სხვა ვერაფერი უპოვეს სერიოზული დარღვევა”.



სანიჩბოსნო სკოლის ბაზა ვაგონში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფრიდონ ბირკაია წლებია ნიჩბოსნობის სკოლას უდგას სათავეში,ჩვენს გაზეთსაც ამ სკოლის სპორტსმენების არაერთი წარმატება გაუშუქებია წლების განმავლობაში. ასევე არაერთხელ შევხებივართ სკოლაში არსებულ პრობლემებსაც. წლების წინ თუ როგორ წაართვეს სკოლას სანიჩბოსნო ბაზა და როგორ აღმოჩნდნენ ღია ცის ქვეშ ერთი ვაგონის ამარა, სადაც დღესაც იმყოფებიან. აღნიშნულ ვაგონს იყენებენ როგორც გასახდელად ასევე ნავების სადგომად. სწორედ ასეთ რთულ პირობებში უწევდათ მწვრთნელებსა და სპორტსმენებს ვარჯიში. მიუხედავად ამისა შედეგებს მაინც აღწევდნენ და სწორედ ეგ იყო დასაფასებელი. მის მერე არაერთი ხელისუფლება გამოიცვალა ქალაქმა, მაგრამ სკოლა დღესაც ამ პრობლემის წინაშე დგას. უფრო მეტიც, დაახლოებით წელიწადნახევრის წინ, სანიჩბოსნო კომპლექსური სასპორტო სკოლისათვის ბაზის აშენების სურვილი ნიჩბოსნობის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტმა, ბიზნესმენმა ვახტანგ ალანიამ გამოთქვა, მაგრამ მის ამ ინიციატივას საკრებულოში წინააღმდეგობით შეხვდნენ. მიწა, სადაც დღეს რკინის კონტეინერია განთავსებული ადგილობრივმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სკოლას არ გადასცა, რომელიც შემდეგ ბიზნესმენის სხვა დაინტერესებით ახსნეს. (2015 წლის №18 გაზეთი). ამ საკითხის გარჩევისას საკრებულოს ზოგიერთ წევრსა და სანიჩბოსნო სკოლის წარმომადგენლებს შორის სიტყვიერი დაპირისპირებაც მომხდარა, უფრო მეტიც საქმე ხელჩართულ ბრძოლამდეც მისულა. რამდენიმე დღეშივე ისევ საკრებულოს სხვა დანარჩენი წევრების ჩარევის შედეგად სიტუაცია განელებულა. სამაგიეროდ, ქალაქს ამ დაპირისპირებით ინვესტორი დაუკარგავს. საქმე იმაში გახლავთ, რომ სადაც ალანია აპირებდა ბაზის მშენებლობის დაწყებას და ამისთვის ითხოვდა მიწის გადმოცემას, იქვე გვერდით ყაზახი ინვესტორი გეგმავდა სასტუმროს მშენებლობას, მაგრამ ბაზის მშენებლობაზე უარის თქმის გამო უცხოელმაც უარი განაცხადა და როგორც მაშინ ჩვენთვის გახდა ცნობილი ინვესტიციები ქუთაისში დააბანდა.

ფოთში ტუპერკულოზის ექსდიარის ფორმა გავრცელდა

მარი ჯავახია
ფოთი

საქართველოში და მათ შორის ფოთში ტუპერკულოზის ექსდიარის ფორმა გავრცელდა. რაც საგანგაშო ფონს ქმნის.

ტუპერკულოზი საუკუნეების მანძილზე უპოვართა სნეულებად მიიჩნეოდა. თუმცა დღეს დაავადება სოციალურ ფონზე არ არის დამოკიდებული. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში დაავადება, პრაქტიკულად, დამარცხებულად მიიჩნეოდა, მაგრამ 20-25 წლის შემდეგ იგი უფრო აგრესიული, გაძლიერებული და ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატებისადმი მდგრადი ფორმით დაუბრუნდა კაცობრიობას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით: ამ პათოლოგიით მსოფლიოში ყოველწლიურად 8,5 მილიონი ადამიანი ავადდება და 2,7-3 მილიონი იღუპება. ამათგან 100 ათასამდე ბავშვი და არასრულწლოვანია. ყოველ 10 წამში ტუბერკულოზით ერთი ადამიანი კვდება. დედამიწის ყოველი მესამე ადამიანი ატარებს ტუბერკულოზის ჩხირს. არც ერთი სხვა ინფექციით იმდენი ხალხი არ იღუპება, რამდენიც ტუბერკულოზით. ერთი ბაქტერია გამომყოფი საშუალოდ 10-15 ადამიანს გადასცემს ინფექციას. საქართველოში ტუპერკულოზის სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2,5%-ს შეადგენს. ტუბერკულოზის მკურნალობა საქართველოში უფასოა, მიუხედავად ამისა საქართველო მაინც რჩება იმ 27 ქვეყნის რიცხვში, სადაც ტუბერკულოზი მძიმე ტვირთად არის აღიარებული. ტუბერკულოზი არ წარმოადგენს რომელიმე ერთი ქვეყნის პრობლემას, იგი მსოფლიო, გლობალური საშიშროებაა.

ფოთის ტუპერკულოზის ცენტრი 1996 წლიდან ჩართულია რეზისტენტული ტუპერკულიოზის მკურნალობის პროგრამაში ანუ ემდიარ ტუპერკულოზის პროგრამაში. ტუპერკულოზის სახეშეცვლილი ფორმის და მასთან ბრძოლის მეთოდებზე, მის შესახებ გამეფებულ სტიგმაზე ფოთის ტუპდისპანსერის დირექტორი ზეინაბ ჩხარჩხალია გვესაუბრება. „ თითქმის განკურნებული ტუპერკულიოზი უკან დაგვიბრუნდა უკვე სხვა ფორმით. ეს არის რეზისტენტული, მუტირებული ფორმა. მუტაცია განიცადა კოხის ჩხირმა რომელიც ტუპერკულიოზს იწვევს. რეზისტენტული ფორმით დაბრუნებული ტუპერკულოზისათვის არ გვქონდა მედიკამენტები და არც ბაზა გვქონდა. ამიტომ შეიქმნა სახელმწიფო ეროვნული პროგრამა. ტუპერკულიოზის სახეცვლილების ფაქტორი არის ძალიან მნიშვნელოვანი, ფილტვი არ ტკივათ, ფილტვს ისე შეჭამს ტუპერკულიოზი რომ ვერ იგრძნობს ადამიანი. როდესაც ადამიანი ავადდება და ის გებულობს ამის შესახებ არ უფრთხილდება არც საკუთარ თავს და არც გარშემომყოფებს. ტუპერკულიოზი არის ჰაერწვეთოვანი დაავადება და ის შეიძლება დაავადებულ ადამიანთან საუბრისას გადაგედოს. საუბრის დროს მილიონობით ჩხირი გამოიყოფა და გადადის ერთი ადამიანიდან მეორეში. საშიშია ასევე დახურულ სივრცეში, როდესაც ფანჯრებია დახურული. გასანიავებლად ყველაზე ეფექტური საშუალება რომელიც იყო ადრე და ახლაც ასეა, არის მზის სხივები. ჩვენი უბედურება არის ის რომ არსებობს სტიგმა, რაც ჩვენს რეალობაში არსებობს”.

ჩხარჩხალიას განმარტებით რეზისტენტული ტუპერკულიოზის განვითარების ხელისშემწყობი პირობებია, როდესაც პაციენტი არ მკურნალობს ბოლომდე, ასევე არასწორი მკურნალობა და სოციალური ფონი, რადგან ამ დაავადებას განსაკუთრებუ

დასასრული 6- გვ.

ყოფილი უშიშროების შენობა შესაძლებელია დანგრევას გადაურჩეს

მარი ჯავახია
ფოთი

გასული საუკუნის დასაწყისში ფოთს, ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოდერნის სტილში, წითელი აგურითა და კირქვით ნაშენი შენობა შეემატა. ის 1901-1910 წლებში არქიტექტორ ედმუნდ ფრიკის ავტორობით აშენდა. შენობაში წლების განმავლობაში "სახელმწიფო უშიშროება" იყო განთავსებული. ნაგებობა, რომელიც სხვადასხვა არქიტექტურული დეტალებით, კონფიგურაციებით, დეკორატიული და მხატვრული ელემენტებით ხასიათდება, ნგრევის პირასაა. ჩამოშლილია ფასადი, დანგრეულია კედლების ნაწილი, კიბე, სარკმლები და სახურავი.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი საკრებულოს წევრის მაია ჩხარტიშვილის ინიციატივით კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში თავდაპირველად მოხდა ინფორმაციის მოძიება ფოთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობების შესახებ. ზემოთაღნიშნული შენობა დღეს კერძო მესაკუთრის მფლობელობაშია. ხოლო რაც შეეხება ტელევიზიის შენობას, რომელიც ასევე სავალალო მდგომარეობაშია, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ თავად ითხოვა დახმარება მესაკუთრის დადგენასთან დაკავშირებით. როგორც გაირკვა ყოფილი უშიშროების შენობა ეკუთვნის კომპანია „ვისოლის" შვილობილ კომპანიას „ველაჯიოს". შენობა 2007 წელს გაიყიდა, რამდენიმე თვეში კი 2008 წელს კულტურული სტატუსი მიენიჭა. შენობა 125 000 ამერიკულ დოლარად იმ პირობით გაიყიდა, რომ მყიდველი 280 000 ლარად გაარემონტებდა ზუგდიდში, ჭითაწყარში მდებარე სამეგრელო ზემო-სვანეთის სამხარეოს სამართველოს შენობას.

კულტრული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭების შემდეგ მფლობელი ვერ ახდენს კომერციული მიზნით მის გამოყენებას, როგორც ირკვევა სტატუსის შემდეგ შენობა მფლობელისთვის საინტერესო არ აღმოჩნდა და მას დანგრევის საშუალებას გამიზნულად აძლევს. ჩვენი გაზეთი არაერთხელ შეეხო აღნიშნულ საკითხს,

შენობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს თავიანთი მოსაზრება აქვთ: „ჩვენ არ გვაქვს კერძო საკუთრებაში მქონე შენობების გარემონტების ფუფუნება და არც კანონი გვაძლევს ამის საშუალებას" იყო მათი პასუხი წლიდან წლამდე. ერთადერთი რასაც ადგილობრივ ხელისუფლებას ვერ დავუკარგავთ წერილებია, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში აქვთ დაგზავნილი, თუმცა სამწუხაროდ მსვლელობა არ მიცემია. დამოკიდებულება კი ჩხარტიშვილის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში ჩასვლის შემდეგ შეიცვალა და „ველაჯიო" კულტურული ძეგლის არ მოვლის გამო, უფრო სწორედ ხელშეკრულების მუხლის დარღვევისათვის 10 000 ლარით დაჯარიმდა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მაია ჩხარტიშვილის განმარტებით: „ხელშეკრულებაში ერთ-ერთ მუხლად კომპანია „ველა-ჯიოს" აღნიშნული შენობის მოვლა პატრონობა უწერია, ამ მუხლის დარღვევისათვის ის დაჯარიმდა. როდესაც მეპატრონე არ უვლის შენობას და ისტორიული ძეგლი დანგრევის პირასაა, დავინტერესდი რა სადამსჯელო ბერკეტები ქონდა ძეგლთა დაცვის სააგენტოს, მიპასუხეს რომ მართალი ვიყავი და დააჯარიმეს კიდეც. „ველაჯიომ" ჯარიმა გადაიხადა თუმცა გააპროტესტა სააპელაციო სასამართლოში, სააპელაციო სასამართლომ კი არ მიიღო სარჩელი. „ველაჯიო" ორივე ინსტანციაში დამნაშავედ ცნეს ხელშეკრულების მუხლის დარღვევის გამო. გონივრული ეჭვი მაქვს და არა მარტო მე, არამედ ჩემს კოლეგებსაც, რომ სახურავიის განადგურება მოხდა იმიტომ, რომ შენობა რაც შეიძლება მალე დანგრეულიყო. ჩემთვის და ფოთელებისათის ეს შენობა ძალიან ძვირფასია და უნდა გამომენახა რაიმე გზა მის გადასარჩენად". ჩხარტიშვილს ამ საკითხზე დაკავშირებით კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის ინსპექციის დეპარტამენტშიც იმყოფებოდა, სადაც გამოიკვეთა ძეგლის გადარჩენის რამდენიმე გზა, ერთ ერთი ამ შემთხვევაში არის მოლაპარაკებების გამართვა მესაკუთრესთან, ამ შემთხვევაში „ველა-ჯიოს" ხელმძღვანელ პირებთან და ალტერნატიული ფართის სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ქალაქზე გადმოცემა. მეორე შემთხვევაში ქალაქის მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, შენობის გადახურვა და შემდეგ ბრძოლა მისი დაბრუნებისათვის. რომელ ვარიანტზე შეჯერდება ხელისუფლება და შენობის მესაკუთრეები ჯერ-ჯერობით უცნობია. თუმცა პირველი ნაბიჯები შენობის შესანარჩუნებლად უკვე გადაიდგა.

რა შედეგი გამოიღო ა(ა)იპების გაერთიანებამ და რა კონკრეტული საფუძველი ედო ამ სამსახურების დაშლა-აწყობას

დასაწყისი მე-3 გვ.

მოწესრიგდეს: „აღინუსხება, რა ქონება გააჩნია სასკოლო გაერთიანებას და სპორტულ სკოლებს. უნდა ჩამოიწეროს, რაც ჩამოსაწერია. ადრე ყველაფერი ერთი ქაღალდიდან მეორეში უცვლელად გადადიოდა. ასევე, ორიენტირებული ვარ სპორტსმენებს შევუქმნათ ელემენტარული პირობები მაინც. დახმარება მაჟორიტარ დეპუტატსაც ვთხოვე. გვინდა, მოვახდინოთ გაზიფიცირება, რომ საშხაპეები გავაკეთოთ, გათბობა უკვე ფუფუნებაა და ჯერ ამის საშუალება არ გვაქვს. ჩემი პრიორიტეტია, სპორტსმენი იყოს უზრუნველყოფილი მინიმალური პირობებით. მომავალ წელს მეტი დაფინანსების შემთხვევაში, მეტის გაკეთებას შევძლებთ".

მიუხედავად ცხრა ადამიანის შემცირებისა, განაწყენებული თანამშრომლები არ ყავს სახელოვნებო ცენტრს. ცენტრის დირექტორი ნინო პაჭკორია როგორც ამბობს: „ა(ა)იპებში ირიცხებოდა 127 თანამშრომელი, რეორგანიზაციის შედეგად დათხოვნილია 5 თანამშრომელი, აქიდან ოთხს კომპენსაცია აუნაზღაურდა. ყველა გაგებით მოეკიდა ქალაქის გადაწყვეტილებას, აიპების ხელმძღვანელებს დირექტორის სტატუსი ქონდათ,რეორგანიზაციის შემდეგ შეეცვალათ სტატუსი და გახდნენ მენეჯერები, მათთან ერთად გავიარეთ კონსულტაციები და ერთად გადავწყვიტეთ, რომელი აიპიდან ვინ წავიდოდა. ფოლკლორის ცენტრიდან არავინ დაგვითხოვია, 61-ვე თანამშრომელი შევინარჩუნეთ, მოსწავლეთა ცენტრიდან გათავისუფლდა 4 ადამიანი და საგამოფენო დარბაზიდან 1. სახელოვნებო ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის შექმნის შედეგად დაემატა 9 თანამშრომელი, ამჟამად ირიცხება 131 თანამშრომელი".

პაჭკორიასავე განმარტებით, გაერთიანებას არ გამოუწვევია მუშაობის ხარისხის დაწევა. პირიქით, ყველა მოტივირებულია საქმის კეთებაზე. ხელფასების კლებასთან დაკავშირებით უკმაყოფილება იყო, მაგრამ რადგანაც რეორგანიზაცია ქვეყნის მასშტაბით გახლდათ გამოცხადებული, ამ საკითხს გაგებით შეხვდნენ აქაური თანამშრომლები. ნაკლები ბიუჯეტით შეიქმნა სახელოვნებო ცენტრიც. „ეს მოხდა თანამშრომლების ხელფასების შემცირების ხარჯზე. ძირითადად, სახელოვნებო ცენტრის შექმნის პრინციპია შეიქმნას ახალი შემოქმედებითი წრეები, ახალი ინოვაცია შემოვიტანოთ. 8 მარტის ღონისძიებაზე ქუთაისიდან ჩამოყვანილი გვყავდა პანტომიმის თეატრი, თბილისიდან მარიონეტები. ამ ჩამოყვანასაც თავისი დატვირთვა ჰქონდა, რადგან გეგმაში გვაქვს, ფოთში გაიხსნას პანტომიმის წრე. უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს შესაბამის ცენტრებთან. ვცდილობთ, შევქმნათ ახალი წრეები, რათა ახალგაზრდობა დაკავდეს ამ საქმიანობით. ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება ცენტრის დირექტორს. ხუთივე მენეჯერი გვერდით მიდგას და მოტივირებულები არიან, რათა საქმე გაკეთდეს. ჩამოყალიბებისთანავე დარეჯან გეფერიძემ ჩაატარა დედა-შვილობის ფესტივალი, ჩვენ გვთხოვა დახმარება და დავუდექით გვერდით. 8 მარტს ჩატარდა კონცერტი მუნიციპალიტეტის მერიის თანადგომით. საგამოფენო დარბაზში გაიმართა ადგილობრივი მხატვრების გამოფენა-გაყიდვა. შემოსული თანხა დაურიგდა ხუთ სოციალურად შეჭირვებულ ადამიანს. ასევე, ჩატარდა ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრების გამოფენა. ამ სამი თვის განმავლობაში

სასპორტო საგანმანათლებო დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი ხვიჩა ცხვიტარია

გარკვეული ღონისძიებები ჩავატარეთ. ახლო მომავალში იგეგმება თოჯინების თეატრის ჩვენებები ბაღებში, სკოლებში. აპრილის თვის ბოლოს კი იროდი ტიკარაძისადმი მიძღვნილი ღონისძიება იგეგმება".

რა შედეგი გამოიღო ა(ა)იპების გაერთიანებამ და რა კონკრეტული საფუძველი ედო ამას, ამაზე ვესაუბრეთ მერიის საფინანსო სამსახურის უფროს ვასილ თოდუას: „ორივე გაერთანებიდან 400 000-მდე ლარი გამოთავისუფლდა, რომელიც მივმართეთ ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩასატარებლად. შევეხეთ სახელფასო ფონდსაც და გარკვეულწილად,ოპტიმიზაცია გაკეთდა ამ თვალსაზრისით. გარდა რეორგანიზაციიდან გამონთავისუფლებული ფულისა, მოხდა მმართველობის, ოფისისა და სხვა ხარჯების შემცირებაც, რამაც საერთო ჯამში 2 138 000 ლარი შეადგინა, ეს თანხა მივმართეთ რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებისათვის. როდესაც შევადგინე რეორგანიზაციის პროექტი, დაახლოებით 70 თანამშრომელი უნდა შეემცირებინათ. არ ვიცი, თანამშრომლების შემცირება მოხდა თუ ხელფასების, ეს უკვე ჩემს კომპეტენციაში არ შედის".

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში„ აცხადებს კონკურსს ქალბატონებისათვის სახელწოდებით

„წარმატებული ქალი 2017„

ძვირფასო ფოთელებო ჩვენი გაზეთის მეშვეობით გეძლევათ შესაძლებლობა თავად აირჩიოთ წარმატებული ქალი. ამისთვის გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმ ქალბატონების შესახებ, ვინც ნებისმიერ სფეროში წარმატებული საქმეებით გამოირჩევიან. რჩეულთა კანდიდატები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ რედაქციაში, ან დაგვირეკეთ, გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
mtavaritsamegrelshi@gmail.com

წარმოდგენილი კანდიდატების შერჩევა მოხდება კონკურსის სახით. გაზეთში დაბეჭდილი სპეციალური ბლანკის მეშვეობით გამოვლინდება წარმატებული ქალი.

ამჯერად გთავაზობთ ექიმს ქალბატონ მანანა ლომაძეს

მანანა ლომაძე: „ბედნიერი ვარ, როცა პაციენტი კარგად ხდება“

ექიმი მანანა ლომაძე 1962 წელს დაიბადა. სამედიცინო ინსტიტუტი მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვში დაამთავრა. სწავლის პერიოდშივე დაქორწინდა თემურ ლომაძეზე, რომელიც ექიმ-ტრამვატოლოგი გახლავთ. ექიმ წყვილს ორი შვილი ჰყავთ, რომლებიც ოჯახის ტრადიციას არ არღვევენ და მომავალი ექიმები არიან, ასევე ყავთ ერთი შვილიშვილი, რომლის მომავალ პროფესიაზე ჯერ საუბარი ნაადრევია, მაგრამ ალბათ ტრადიციას არ დაარღვევს.

მანანა ლომაძემ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა ფოთის სასწრაფოში დაიწყო. შემდეგ 1 პოლიკლინიკაში ნევროლოგად გადავიდა, სადაც 23 წელი იმუშავა. პოლიკლინიკიდან რამდენიმე წლის წინ წამოვიდა, რაზეც საუბარი არ უყვარს. პარალელურად სასწრაფოს ექიმიც გახლდათ და გასული წლის ავადმოსაგონარი ავტოკატასტროფის დროს მიღებული ტრამვის გამო მოუწია ამ სამსახურის მიტოვება. ამ ავტოკატასტროფის დროს სასწრაფოს საგზაო შემთხვევაში დაშავებული პაციენტი ფოთის საავადმყოფოში გადმოყავდა, გზაში თავად მოხვდა კატასტროფაში, რის დროსაც პაციენტი დაიღუპა. ცხოვრების ეს ეპიზოდი ძალიან მძიმე მოსაგონარია ექიმისთვის. ამჟამად კლინიკა „იკამედში“ მუშაობს და როგორც ამბობს, ყველა პირობა აქვს პაციენტებს მაღალკვალიფიციურად მოემსახუროს: „აქ ვმუშაობ მშვიდად, კომფორტულად, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველანაირი სამუშაო პირობა მაქვს, რაც ექიმს პაციენტთან ურთიერთობისათვის ჭირდება. პროფესია ძალიან რთულია, ყველა პაციენტი ინდივიდუალურია. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გაზრდილია პაციენტთა რაოდენობა და ძალიან მაწუხებს, რომ გაზრდილია ახალგაზრდების მომართვიანობა. პაციენტთა უმრავლესობას ნევროზი აქვს“.

ექიმი წუხს, რომ ექიმის მიმართ შეიცვალა მინდგომა, პაციენტები აგრესიულნი გახდნენ: „ექიმიც ადამიანია და არა რობოტი. შვებულებაში როდის ვიყავი, უკვე აღარ მახსოვს. ოჯახში ორი ექიმი ვართ და სახლში როდის შევდივართ, ვინ იცის. ჩემი ქალიშვილი მომავალი ექიმია, ერთი მხრივ მიხარია, რომ ტრადიციას აგრძელებს, მაგრამ არ მინდოდა ექიმი გამხდარიყო, ეს იმდენად რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა“. როგორც ქალბატონი მანანა ამბობს, ექიმისთვის ბედნიერებაა, როდესაც პაციენტი გამოჯამრთელდება და მკურნალობა შედეგიანი აღმოჩნდება. ამ მხრივ განსაკუთრებული მოგონებები სასწრაფოში მუშაობის პერიოდს უკავშირდება: „მძიმე პაციენტს მდგომარეობიდან რომ გამოიყვან და გადაარჩენ, ეს ჩემი აზრით, ყველა ექიმისათვის ბედნიერებაა. რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, როცა პაციენტი ამბობს - კარგად ვარო და მადლობას გიხდის. ალბათ ასეთმა დაძაბულმა ცხოვრებამ მოიტანა, რომ აგრესიულები არიან პაციენტები, მაგრამ ყველაფერი ცუდი ადრე თუ გვიან მთავრდება და ჩვენი ხალხიც დაიბრუნებს ჩვეულ ზრდილობას და უფრო ჯანმრთელებიც იქნებიან“,



მისი კარგი და ცუდი მოგონებები სასწრაფოში მუშაობას უკავშირდება. ორჯერ სასწრაფო მანქანით მოყვა ავარიაში. პირველად არ დაშავებულა: „როგორც კი გადმოვედი მანქანიდან, მაშინვე გამვლელი მანქანა გავაჩერე და ნაბადაში პაციენტთან წაყვანა ვთხოვე, დღესაც არ ვიცი, ვინ იყო ის პიროვნება, მაგრამ ნამდვილად გულისხმიერი ადამიანი აღმოჩნდა. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა მეორე ავარია, როდესაც გრიგოლეთში სამარშუტო ტაქსი და მსუბუქი მანქანა შეეჯახა ერთმანეთს, ერთ-ერთი დაშავებული მოგვყავდა ჩვენ, როდესაც კრიმინალური პოლიციის მანქანა დაგვეჯახა. მძიმე იყო იმითაც, რომ თავად ძალიან დავშავდი და სამწუხაროდ პაციენტიც დაიღუპა. კურიოზიც მრავლადაა ამ პროფესიაში, როდესაც მიდიხარ, ხშირად დედის გინებით გხვდებიან და „შენ გენაცვალეთი“ გაცილებენ”.

2008 წლის ომის დროს, ფოთის დაბობმვის ღამეს მორიგე და ბრიგადის უფროსი იყო: „ყველაფერმა ჩემს თვალწინ და ჩემს თავზე გადაიარა. მთავარმა ექიმმა ლევან კაკულიამ მადლობაც კი გადამიხადა მუშაობისათვის”.

მანანა ლომაძის აზრით ექიმის პროფესია დაუფასებელია მინიმალური ხელფასით და მაქსიმალური პროფესიონალიზმით. ამ ადამიანებსაც სჭირდებათ მოფერება, რომ შეინარჩუნონ ნერვები - „ყველაფერს აქვს ზღვარი, ძალიან ცუდ დღეში ვართ ექიმები”- ამბობს ნერვოპათოლოგი.

მანანა ლომინაძე უკვე 28 წელია ემსახურება პაციენტებს და ხუმრობს ხოლმე - „ჩაქუჩის გარეშე არ შემიძლია”.

R

სიახლე ფინკა ბანკში - ყველა დისტანციური საბანკო მომსახურება ერთის ფასად!

ფინკა ბანკი განაგრძობს მომხმარებლებისთვის განახლებული პროდუქტების და სერვისების შეთავაზებას. ამჯერად, ბანკი პაკეტური შეთავაზების სახით მომხმარებელს სხვადასხვა დისტანციურ პროდუქტსა და სერვისებს ერთის ფასად სთავაზობს. პაკეტური შეთავაზება „ონლაინ“ და „ონლაინ+“ მოიცავს შემდეგი საბანკო პროდუქტსა და მომსახურებას: VISA ELECTRON an VISA CLASSIC ბარათი, ინტერნეტბანკინგი, ტელეფონ ბანკინგი, SMS მომსახურება, ავტომატური დავალება და ა.შ.

პაკეტური შეთავაზება ახალი შესაძლებლობაა, რომ მომხმარებელმა დისტანციურად, მარტივად მართოს საბანკო ანგარიშები და განახორციელოს ნებისმიერი სახის ფინანსური ოპერაციები.

თამარ სოფრომაძე, საცალო საბანკო მომსახურების დეპარტამენტის უფროსი

„პაკეტური შეთავაზების შექმნის მიზანი იყო მომხმარებლებისათვის გაგვემარტივებინა ბანკთან ურთიერთობა, მიგვეწოდებინა სრული საბანკო სერვისები დისტანციური არხების საშუალებით, რაც დაზოგავს მომხმარებლების დროს და მომსახურების პროცესს უფრო ეფექტურსა და კომფორტულს ხდის. აღსანიშნავია, რომ საპაკეტო მომსახურების არჩევის შემთხვევაში,

თამარ სოფრომაძე, საცალო საბანკო მომსახურების დეპარტამენტის უფროსი



მომხმარებელი ზოგავს არამარტო დროს, არამედ ფულსაც, ვინაიდან რამდენიმე საბანკო პროდუქტით ერთდროულად სარგებლობს და იხდის მხოლოდ ერთის საფასურს. დისტანციური არხების გამოყენება მომხმარებლებისათვის კომფორტული და მომგებიანია“.

ფინკა ბანკის საბანკო პროდუქტებისა და სერვისების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ფინკა ბანკის სერვის ცენტრებში, ვებ გვერდზე www.FINCA.ge და ასევე, ცხელი ხაზის საშუალებით 24 საათის განმავლობაში 2 24 4949

ფოთელი ხელბურთელები - ვერცხლის პრიზიორები

შარშანდელი სპორტული შედეგი გაუმჯობესებულია. 2016-2017 წლის საქართველოს ჩემპიონატი 2000-01 წლებში დაბადებულ ვაჟ ხელბურთელთა გუნდებს შორის დასრულდა მეორე საპრიზო ადგილით. დაძაბულ პლეი-ოფის მატჩებში, სადაც 6-მა უძლიერესმა გუნდმა მოიყარა თავი, „ოქროს ვერძ"-მა დაამარცხა თბილისის „ქარიშხალა", რუსთავის, სამტრედიისა და წყალტუბოს გუნდები, ფინალში კი დამარცხდა თბილისის „პეგასთან", რომლის ძირითადი ბირთვი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაშია.

მიუხედავად, გუნდის კაპიტნის და ერთ-ერთი ლიდერის საბა შარტავას მძიმე ტრავმისა, (შარშანდელი, ქალაქის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულის ნომინანტი), რომელიც მან წყალტუბოსთან თამაშის დროს მიიღო, გუნდმა მაინც შეძლო არა თუ მობილიზება, არამედ შარშანდელი შედეგის გაუმჯობესებაც. წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: თეზიკო ბჟალავამ, ნიკა ქვანიამ, ილია ნოღაიდელმა, დავით ფანცულაიამ, რეზი დიდიამ, გიგიცხვარაძემ, თომა პაჭკორიამ, ლუკა ცირდავამ.

ჩვენი გუნდის კარის ღირსებას წარმატებით იცავდნენ ბექა კეკუა და ლაშა ფაჩულია. წარმატებული გუნდის წარმატებული მწვრთნელები თემურ ჭანტურია და გელა ქვანია გახლავთ. გუნდს გულშემატკივრობდნენ ფოთელი სტუდენტები.

უახლოეს დღეებში კლუბის ხელმძღვანელობა გუნდს წარადგენს მერიის მიერ დაწესებულ პრემიაზე სპორტსმენთა წახალისების მიზნით.

გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა ქვანია 9- 17 აპრილს საფრანგეთში მონაწილოებას მიიღებს საერთაშორისო ტურნირზე, საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

საქართველოს საგაზაფხულო პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში

რამდენიმე დღის წინ ფოთში მდინარე კაპარჭაზე ჩატარდა საქართველოს საგაზაფხულო პირველობა, სადაც ფოთის აკადემიური ნიჩბოსნობის გუნდმა ბრწყინვალედ იასპარეზა და დაიკავა გუნდური პირველი ადგილი. მათ მოიპოვეს 6 ოქროს მედალი, 6 ვერცხლის მედალი და 1 ბრინჯაოსი.

დიდები, ერთადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი, 2000 მ. ლევან ბირკაია - I ადგილი, 1999-2000 წ.წ. ერთადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი, 2000 მ. ზურაბ კინტირაია - I ადგილი, ზაურ ჩერნიშოვი - III ადგილი
2002-2004 წ.წ. ერთადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი, 1000 მ. ბექა შელია - II ადგილი.
1999-2001 წ.წ. გოგონები, ერთადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი, 2000 მ. თამარ მიქაძე - II ადგილი
2005-2006 წ.წ. ერთადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი, 500 მ. ამირან მარგალიტაძე - I ადგილი
2001-2002 წ.წ. გოგონები, ერთადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი, 1000 მ. თამარ რუხაძე - II ადგილი
1991-2001 ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი, 2000 მ. ზურაბ კინტირაია, ზაურ ჩერნიშოვი - I ადგილი
დიდები, ორადგილიანი გასაშლელი ნავი, 2000 მ. გიორგი გოგია, გიგა ანჯაფარიძე - II ადგილი
1999-2001 წ.წ. გოგონები, ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი, 2000 მ. თამარ მიქაძე, თამარ რუხაძე - II ადგილი
2002-2004 წ.წ ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი, 1000 მ. ბექა შელია, ამირან მარგალიტაძე - I ადგილი
2005-2006 წ.წ. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი, 500 მ. ლაშა ბურკვაძე, კახა გოგია - I ადგილი
დიდები, ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი, 2000 მ. ლევან ბირკაია, არჩილ ბაიაშვილი - II ადგილი.

სპორტი

რეგიონალური პირველობა გეზრბენში

6 აპრილს ზუგდიდში გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული რეგიონალური პირველობა გეზრბენში (გოგონები, ვაჟები). პირველობაზე მონაწილეობა მიიღო სამეგრელო-ზემო სვანეთის 10-მა საჯარო სკოლამ: წალენჯიხის, აბაშის, ჩხოროწყუს, მესტიის, სენაკის, ხობის, მარტვილის, ზუგდიდის როგორც ქალაქის, აგრეთვე რაიონის საჯარო სკოლების გუნდებმა. ჩვენი ქალაქიდან მონაწილეობას ღებულობდნენ მე-4 საჯარო სკოლის გოგონებისა და მე-6 საჯარო სკოლის ვაჟების გუნდი.

ფოთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გოგონებმა მოიპოვეს II საპრიზო ადგილი - დირექტორი გივი ხომერიკი, სპორტის მასწავლებლები: თამარ ბახტაძე და მარინა ტყებუჩავა, მოსწავლეები: კარინა ფოქშა, ელენე ჩუბინიძე და ლიდია სულაბერიძე, ხოლო ვაჟებს შორის პირველობა არავის დაუთმეს მე-6 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა - საბა ხვიჩავამ, ნიკო ჩაგანავამ და ანრი ტაკიძემ, რომლებმაც პირველებმა გადაკვეთეს ფინიშის ხაზი და მოიპოვეს ზონალურ პირველობაზე მონაწილეობის მიღების უფლება - სკოლის დირექტორი თამაზ პაჭკორია და სპორტის მასწავლებელი მალხაზ კუხიანიძე.

რეგიონალური პირველობების წილისყრა

6 აპრილს ზუგდიდში ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული რეგიონალური პირველობების წილისყრა სახეობათა მიხედვით.

წილისყრის შედეგად გუნდები დაწყვილდნენ სახეობათა მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით: მინი კალათბურთი (გოგონები, ვაჟები) რეგიონალური პირველობა ჩატარდება 19 აპრილს ქალაქ ფოთში, საკალათბურთო დარბაზში. გოგონებში 15 საჯარო სკოლის მეტოქე იქნება წალენჯიხის საჯარო სკოლის ნაკრები გუნდი, ხოლო ვაჟებში 5 საჯარო სკოლის მეტოქე გახლავთ ზუგდიდის ქალაქის საჯარო სკოლის ნაკრები გუნდი.

მინი ფეხბურთი (ვაჟები) გაიმართება 22 აპრილს, ზუგდიდში და მე-15 საჯარო სკოლის მეტოქე იქნება აბაშის საჯარო სკოლის გუნდი.

რაც შეეხება ხელბურთის ასპარეზობას გოგონებსა და ვაჟებს შორის, გოგონებში მე-2 საჯარო სკოლის მეტოქე გახლავთ სენაკის საჯარო სკოლის გუნდი, ხოლო ვაჟებში მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები იასპარეზებენ მარტვილის საჯარო სკოლის გუნდთან. ასპარეზობა გაიმართება 25 აპრილს, ზუგდიდში.

რატომ გვირჩევენ ექიმები დიდი ოდენობით გოგრის ჭამას და რას უწყობს ხელს ეს უგემრიელესი პროდუქტი

მეცნიერული კვლევის შედეგად დადასტურებულია,რომ ვიტამინი "A"აუცილებელია ადამიანის უჯრედების ნორმალური ფუნქციონირებისთვის.ის აქტიურადაა ჩართული კანის, ლორწოვანი გარსის, დასუსტებული ძვლების განახლებაში.დაზუსტებულია, რომ ვიტამინი ძალიან უწყობს ხელს იმუნური სისტემის ფუნქციონირებას. როგორც წყარო წერს, ამ ვიტამინის დეფიციტს განიცდის რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რაც გამოიკვეთება მშრალი და უხეში კანის არსებობაში, ფრჩხილების სისუსტეში. ვიტამინი ეხმარება ადამიანს გაუმკლავდეს სხვადასხვა დაავადებებს და სწორედ ამიტომ ექიმები ურჩევენ პაციენტებს,დიდი რაოდენობით მიირთვან ის პროდუქტები, რომლებიც ამ ვიტამინს შეიცავენ.დადასტურებულია, რომ სწორედ გოგრა ყველაზე მეტი რაოდენობით შეიცავს ვიტამინს.
მაშ ასე: წარმოგიდგენთ იმ პროდუქტების ჩამონათვალს, რომელიც "A"ვიტამინს შეიცავენ:
1) ქათმის ღვიძლი;2) ძროხის ხორცი;3) სტაფილო;4) მწვანე ხახვი;
5) ისპანახი;6) გარგარი;7) სალათის ფოთლები;8) კვერცხი;9) კარაქი;
10) "A" ვიტამინს ყველაზე დიდი ოდენობით გოგრა შეიცავს და ამიტომაცაა, რომ პედიატრები მშობლებს 6 თვიდან უკვე პატარებში ამ უგემრიელესი ხილის მირთმევას ურჩევენ, რაც შეიძლება ხშირად კვებონ პატარები გოგრით, რომლის სეზონიც შემოდგომაა და რომელიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ხარობს.
თუმცა გოგრის ყოველდღიურად ჭამა საშუალო ასაკშიც რეკომენდირებულია,რამდენადაც ძვლებს ამაგრებს და ეხმარება ადამიანს იმუნური სისტემის გაჯანსაღებაში. გვთავაზობენ გოგრისგან მომზადებულ კერძებს, მაგალითისთვის საკმარისია გამსინჯოთ მოხარშულ გოგრაში ჩადებული ყველის ან სულგუნის მოზრდილი ნაჭერი, კიდევ გოგრა ტკბილი ფლავით ან ხორცის ფარშით გამოტენილი.

ნებისმიერმა მეუყვავილემ იცის, რისთვის უნდა ჩავარჭოთ ასანთის ღერი ოთახის მცენარის ქოთანში!

ოთახის მცენარეები საცხოვრებელს არა მხოლოდ მყუდროებას მატებენ, არამედ შენობაში ჟანგბადის შემცველობას ზრდიან.
სამწუხაროდ, ხანდახან მცენარეები ჭკნება სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორ კარგადაც არ უნდა უვლიდეთ.
ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, პარაზიტები იყოს, რომელთა დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია.
საბედნიეროდ, არსებობს ერთი მარტივი საშუალება, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია პარაზიტებისგან გათავისუფლება. მის შესასრულებლად საკმარისია ასანთის რამდენიმე ღერი.
ჩაარჭვეთ გოგირდის თავით ასანთის ღერი მიწაში ქოთნის კედლიდან 5 სმ-ის დაშორებით და მორწყეთ ყვავილები. 2 დღეში ასანთის ღერი ახლით შეცვალეთ, კიდევ 2 დღის შემდეგ კი პარაზიტები გაქრება.
არ არის აუცილებელი, ყვავილები მორწყათ ინსექტიციდებით! ფოსფორი და გოგირდი, რომელთაც ასანთის თავები შეიცავს, ნიადაგში კარგად იხსნება და საგულდაგულოდ აცილებს მცენარეს დაუპატიჟებელ სტუმრებს.

იყიდება

ფოთში იყიდება 62 კვმ ფართი, რომელიც გამოდგება როგორც საოფისედ, ისე საცხოვრებელ ბინად, წმინდა ნინოს 32
ტელ: 595 75 98 58 ნინო

ფოთში იყიდება ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა ჯიქიას №9, 3-ე სართულზე, მოშენების პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 568 42 14 57 ჯემალი, 579 70 65 34 ანა

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი
იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19
ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.